ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე გალსა და ახალგორში

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე გალსა და ახალგორში

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2023

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

დოკუმენტი მომზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მხარდაჭერილი პროექტის, „საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკაში ადამიანის უფლებების პერსპექტივების გაძლიერების მიზნით ადვოკატირება“, ფარგლებში. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე
ავტორი: თეონა ფირანიშვილი
რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე
თარგმანი რუსულ ენაზე: როლანდი რაიკი
თარგმანი ინგლისურ ენაზე: ნათია ნადირაძე

აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე, აკრძალულია.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თეონა ფირანიშვილი, „ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე გალსა და ახალგორში“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06
https://socialjustice.org.ge/
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

შესავალი

მშობლიურ ენაზე ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა გალის და ახალგორის მოსახლეობისთვის ის უფლებრივი საკითხია, რომელზეც კონფლიქტმა ყველაზე მძიმე გავლენა მოახდინა. ამ რეგიონებში განათლების სისტემის რუსიფიკაციის პროცესი იმთავითვე ისახავდა მიზნად ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაზე ზეწოლას და შევიწროებას, რამაც ეთნიკური ქართველი მოსახლეობა სისტემური დისკრიმინაციისა და კულტურული შევიწროების მსხვერპლი გახადა. მშობლიურ ენაზე განათლებაზე ხელმისაწვდომობის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ფუნდამენტურ სამოქალაქო უფლებების რიგს განეკუთვნება, კონფლიქტების კონტექსტში ხშირად ჭარბად პოლიტიზებულია, რის გამოც უფლებრივი პერსპექტივიდან ნაკლებად განიხილება. საქართველოს კონფლიქტების კონტექსტშიც, ამ საკითხზე დისკუსია, მართალია, არაერთი მოლაპარაკების ფორმატში წამოჭრილა, თუმცა კონფლიქტის მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა. მეტიც, მოლაპარაკებების პროგრესი ამ მიმართულებით საერთოდ არ ჩანს, ვითარება წლიდან წლამდე უარესდება და განათლების რუსიფიკაციის პროცესი ორივე რეგიონში პრაქტიკულად დასრულებულია. ამ ფონზე კი, ორმაგად მნიშვნელოვანია, საქართველოს ხელისუფლებამ შეასრულოს პოზიტიური ვალდებულება და ყველა ზომას მიმართოს ამ რეგიონების მცხოვრებთათვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის და მშობლიური ენის დაცვის ხელშესაწყობად.

მშობლიურ ენაზე სწავლება გალის და ახალგორის რაიონის ქართულენოვან სკოლებს წლების მანძილზე ეტაპობრივად ეზღუდებოდათ. გალის რაიონის სკოლების რუსულენოვან სწავლებაზე გადასვლის პროცესი შეიარაღებული კონფლიქტის დასრულებისთანავე დაიწყო ნაწილობრივ და ეტაპობრივად. საბოლოოდ, 2022 წლის სექტემბრიდან, გალის რაიონის სკოლების ყველა კლასში ქართულენოვანი სწავლება სრულად ჩაანაცვლა რუსულენოვანმა სწავლებამ და სახელმძღვანელოებმა. ახალგორის რაიონში განათლების სისტემის რუსიფიკაციის პროცესი 2017 წელს დაიწყო.[1] ქართულ ენაზე სწავლების რუსული ენით ჩანაცვლების პროცესი ახალგორშიც ეტაპობრივად მიმდინარეობს. დღევანდელი მდგომარეობით, ახალგორის 6 სკოლიდან, 5 სკოლა 2022 წლის სექტემბრიდან მთლიანად არის გადასული რუსულენოვან სწავლებაზე (1 სკოლა ყოველთვის რუსულენოვანი იყო).[2]

აფხაზური და რუსული მხარის პოზიცია ქართული ენის რუსულით ჩანაცვლების თაობაზე, რამდენიმე არგუმენტს ეფუძნებოდა: 1. აფხაზეთის სკოლებში ქართულ ენაზე და ქართული წიგნებით სწავლების პროცესს საფრთხედ აღიქვამდა თვითგამოცხადებული „აფხაზური სახელმწიფო“, რადგან ის აფხაზური პერსპექტივით, „ქართული

[1] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობა გალსა და ახალგორში, 2019-2020 წლები, 2020, 7.

[2] საქართველოს სახალხო დამცველის წლიური საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, 330. გასაუბრება ახალგორელ აქტივისტთან, 2 აგვისტო, 2023.

იდეოლოგიით“ სწავლებას და აფხაზეთის მიმართ ლოიალობის დეფიციტს იწვევდა; 2. გარდა ამისა, მოიაზრებოდა, რომ რუსული ენის ცოდნა გალელებს შესაძლებლობას აძლევდა კარიერა აფხაზეთსა და რუსეთში გაეკეთებინათ, სხვა შემთხვევაში კი ისინი ინარჩუნებდნენ ბმას ქართულ სახელმწიფოსთან.[3]

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური მხარე თავისი დე-ფაქტო „კანონმდებლობის“ შესაბამისად, ამტკიცებს, რომ ქართველი ეთნიკური უმცირესობა გალში სხვა უმცირესობების მსგავსად იღებს განათლებას და მათი უფლებრივი მდგომარეობა შეესაბამება უმცირესობების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს,[4] რეალობაში დისკრიმინაცია ღიად შესამჩნევია. მაგალითად, სომეხ ეთნიკურ უმცირესობას აქვს შესაძლებლობა განათლება მიიღოს სომხურ ენაზე (სომხურენოვანი სკოლების რაოდენობა ჯერ კიდევ 2011 წელს სამჯერ აღემატებოდა ქართულენოვანს).[5]

აქედან გამომდინარე, ნათელია აფხაზური და რუსული მხარეების ინტერესი, სრულად ჩაანაცვლონ ქართული ენა რუსულით და აღმოფხვრან ქართული ენა და საქართველოსთან დაკავშირებული სამოქალაქო თვითიდენტიფიკაცია აფხაზეთში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველების თემში. განათლების პოლიტიკის რუსიფიკაცია, სხვა პოლიტიკურ ინტერესებთან ერთად, სწორედ ქართველების იდენტობის შეცვლას ისახავს მიზნად.[6] კავშირს ბავშვის განათლების უფლებასა და მის კულტურულ იდენტობას შორის, აღიარებს გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციაც, რომლის 29-ე მუხლის მიხედვით, „სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, რომ ბავშვის განათლება მიმართული იქნება მისი კულტურული იდენტობის, ენის და ღირებულებების პატივისცემისკენ“.[7] იმის გათვალისწინებით, რომ ენა კულტურული იდენტობის ცენტრალური ელემენტია, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობას კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ამისა, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება მნიშვნელოვანია ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობისთვის.[8]

რუსულენოვან სწავლებაზე იძულებით გადასვლის პროცესი გამოწვევა იყო და არის როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის, რადგან ისინი სათანადოდ არ ფლობენ რუსულ ენას ზოგადი განათლების მისაღებად ან გასაცემად. შესაბამისად, ეს მოცემულობა აბრკოლებს ხარისხიან ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობას, ხოლო იმ შემთხვევებში, სადაც რუსულ ენაზე სწავლა-სწავლების პრობლემა მეტ-ნაკლებად გადალახულია (მაგალითად, გალის ზედა ზონის სკოლებში, სადაც რუსულ ენაზე გადასვლის პროცესი გაცილებით ადრე, 2004-2005 წლებში დასრულდა),[9] ქართული ენის

---

[3] თორნიკე ზურაბიშვილი, მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში, საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) იანვარი, 2016, 12-13.

[4] „აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია“, მუხლი 6.

[5] თორნიკე ზურაბიშვილი, მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში, 12-13.

[6] სახალხო დამცველის 2015-2016 წ. სპეციალური ანგარიში: განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები,

[7] Human Rights Watch, Living in Limbo, 2011, 48.

[8] Human Rights Council, A/HRC/43/4, Report of the Special Rapporteur on minority issue, Education, language and the human rights of minorities, 2020.

[9] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი სიახლეები, თბილისი, 2015.

ცოდნასთან დაკავშირებული გამოწვევები ჩნდება, რაც, თავის მხრივ, ბარიერია იმ მოსწავლეებისთვისაც, რომლებიც სწავლას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ.

სტატიის მიზანია გააანალიზოს ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს მიღმა დარჩენილ ამ ორ რეგიონში. ასევე, წარმოადგინოს და გააანალიზოს ის შესაძლებლობები და რესურსები, რასაც საქართველოს ხელისუფლება სთავაზობს, ან უნდა სთავაზობდეს ამ ორ რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას განათლების უფლების სრულყოფილად და ხარისხიანად განხორციელებისთვის.

სტატიის მიზნების შესაბამისად, შევისწავლეთ გალსა და ახალგორში განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ უახლესი ანგარიშები და სტატისტიკა (მათ შორის სახალხო დამცველის, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და ანგარიშები). ასევე, ჩატარდა ოთხი ინტერვიუ გალის, ოჩამჩირის და ახალგორის მცხოვრებლებთან, ასევე გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთან. სტატიაში ასევე გაანალიზებულია განათლების სამინისტროდან მიღებული საჯარო ინფორმაცია.

1. <u>განათლებაზე ხელმისაწვდომობა გალში</u>

გალის ქართულმა სკოლებმა და საგანმანათლებლო სისტემამ დარტყმა 1992-93 წლებში, საომარი მოქმედებების დაწყების პერიოდიდანვე მიიღო.

90-იანი წლების საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, გალის რაიონის 58 სკოლიდან,[10] დღეს 30 მოქმედებს (სხვადასხვა პერიოდში ფუნქციონირებდა 34-31 სკოლა, თუმცა ისინი ეტაპობრივად იხურებოდა მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების გამო. ბოლო სკოლა 2017 წელს დაიხურა სოფელ თაგილონში და მას მერე 30 სკოლა სტაბილურად ფუნქციონირებს).[11] 1994 წელს, მას მერე, რაც აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ გალის რაიონის საზღვრები თვითნებურად შეცვალა, ამ რაიონის 11 სკოლა ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონების საზღვრებში მოექცა.[12] თვითონ გალი კი „ზედა“ და „ქვედა“ ზონებად დაიყო. ზედა ზონაში დღეის მდგომარეობით - 9 და „ქვედა“ ზონაში - 10 სკოლაა. სახალხო დამცველის უახლესი ანგარიშის მიხედვით, 2022-2023 სასწავლო წლის მონაცემებით, გალის რაიონში 30 სრული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 9 სკოლამდელი დაწესებულება და 5 სახელოვნებო სკოლა ფუნქციონირებს (*შენიშვნა: საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება არ აღიარებს გალის რაიონის შეცვლილ*

[10] Human Rights Watch, Living in Limbo, 2011, 48.

[11] ინტერვიუ გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელთან, 14 ივლისი, 2023.

[12] თორნიკე ზურაბიშვილი, მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში, პოლიტიკის დოკუმენტი, GRASS, 2016, 4; იხ ასევე: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თეონა ფირანიშვილი, „ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში“, 2022, 33.

საზღვრებს და ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონების საზღვრებში მოქცეულ სკოლებსაც გალის რაიონის სკოლებად მიიჩნევს).[13]

ტყვარჩელის და ოჩამჩირის რაიონებისთვის მიკუთვნებულ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე 1995 წელსვე გადავიდა და დღეის მდგომარეობით აქ ქართული ენის და ლიტერატურის, როგორც საგნის სწავლება სრულად გაუქმებულია.[14] გალის ზედა ზონის სკოლებში რუსულენოვან სწავლებაზე გადასვლა ეტაპობრივად მიმდინარეობდა და 2004-2005 წლებში დასრულდა.[15] რაც შეეხება ქვედა ზონის სკოლებს, აქ განათლების სისტემის რუსიფიკაციის პროცესი 2015 წლიდან დაიწყო და 2022 წლის სექტემბერში დასრულდა, რაც გულისხმობს, რომ ქვედა ზონის ყველა სკოლაში, დღევანდელი მოცემულობით, სწავლა ყველა კლასში რუსულენოვანია. ქართული ენა და ლიტერატურა, როგორც უცხო ენა, ისწავლება სხვადასხვა სკოლაში და კლასში სხვადასხვა დატვირთვით, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, მაღალ კლასებში ქართული ენის და ლიტერატურის საათობრივი დატვირთვა მცირდება, ზოგიერთ კლასში კვირაში 3-4 საათი ისწავლება, ზოგიერთში - კვირაში 1 საათი.[16] გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ინფორმაციით, ე.წ. ქვედა და ზედა ზონის სკოლებში ქართულ ენას და ლიტერატურას კვირაში თითო საათი ეთმობა, თუმცა, შესაძლოა, დირექტორის „კეთილი ნების“ შესაბამისად, ზოგიერთ სკოლაში ან კლასში მეტი საათი ისწავლებოდეს, თუმცა ეს მხოლოდ იშვიათი გამონაკლისია. ამ ინფორმაციას ადასტურებს ევროპის საბჭოს 2021 წლის კონსოლიდირებული ანგარიშიც, რომლის მიხედვითაც, პირველიდან მე-11 კლასის ჩათვლით ქართულ ენას და ლიტერატურას კვირაში თითო-თითო საათი ეთმობა. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ მცირდება აფხაზური ენის საათობრივი დატვირთვა.[17]

რუსულენოვან სწავლებაზე გადასვლის პარალელურად, გალის რაიონის სკოლებიდან სრულად ამოიღეს ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, რომლებიც საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ იყო ვიზირებული.[18] გარდა სახელმძღვანელოებისა, სკოლის ბიბლიოთეკებიდან გაქრა ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები.[19]

ანონიმურ ინტერვიუში გალის მცხოვრები აღნიშნავს, რომ რუსულენოვან სწავლებაზე გადასვლის პროცესი რთულია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. მასწავლებლებს თავიდან უწევთ თავიანთი საგნის რუსულ ენაზე შესწავლა, ტერმინოლოგიის ათვისება, რასაც რამდენიმე წელი შეიძლება დასჭირდეს. გალის ზედა

---

[13] საქართველოს სახალხო დამცველის წლიური საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, 329.

[14] ინტერვიუ გალის მცხოვრებთან (ვინაობა ანონიმურია), 12 მაისი, 2023. ინტერვიუ გალის რაიონის რესურს ცენტრის ხელმძღვანელთან, 14 ივლისი, 2023.

[15] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თეონა ფირანიშვილი, „ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში“, 2022, 33.

[16] ანონიმური ინტერვიუ გალის მცხოვრებთან, 12 მაისი, 2023; გასაუბრება გალის მცხოვრებთან (ვინაობა ანონიმურია), 19 მაისი, 2023. იხ ასევე: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი სიახლეები, თბილისი, 2015. გვ. 5.

[17] Council of Europe Consolidated report on the conflict in Georgia (April – September 2021), SG/Inf(2021)30, 49.

[18] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობა გალსა და ახალგორში, 2019-2020 წლები, 2020, 5.

[19] იგივე.

ზონის სკოლებმა, სადაც რუსულენოვანი სწავლება სრულად 2005 წლიდან დაინერგა, ეს პროცესი უკვე გაიარეს და ამ მხრივ არსებული ბარიერები მეტ-ნაკლებად გადალახულია, თუმცა ქვედა ზონის სკოლებში რუსულენოვანი სწავლება ახლა ინერგება და, შესაბამისად, სირთულეები ექმნებათ როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს. როგორც გალის მცხოვრები აღნიშნავს ჩვენთან ინტერვიუში, თუკი რამდენიმე წელში მასწავლებელი ვერ შეძლებს რუსულ ენაზე გაკვეთილების ჩატარებას, ის ნებაყოფლობით მიდის სკოლიდან.[20] გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის განმარტებით, მასწავლებლები წნეხის და მკაცრი კონტროლის ქვეშ არიან, სკოლაში ყოფილა ჩხრეკის და შემოწმების არაერთი შემთხვევა, სპეციალური სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მოულოდნელადაც მიდიან სკოლაში, რათა შეამოწმონ, რა ენაზე მიმდინარეობს სწავლება, შემოწმებები არის როგორც გეგმური, ღია გაკვეთილების და ღონისძიებების სახით, ისე სპონტანურიც. ის ასევე იხსენებს, რომ მასწავლებლების სახლებიც შეუმოწმებიათ, რათა ენახათ, თუ რა ენაზე აქვთ მათ წიგნები სახლში.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი ჩვენთან გასაუბრებისას დამატებით აღნიშნავს, რომ ადგილობრივი უწყებები მკაცრად აკონტროლებენ რუსულ ენაზე სწავლების პროცესს და თუკი მასწავლებელი ვერ ართმევს თავს, მას სკოლიდან უშვებენ.[21] გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ამ ფაქტს არ ადასტურებს, თუმცა ამბობს, რომ მასწავლებლების სკოლიდან გაშვების მიზეზი ყოფილა ქართულ მხარესთან თანამშრომლობა, ქართული ღონისძიებების ჩატარება და სხვ. მისივე თქმით, უკვე არის იმის ტენდენციაც, რომ მასწავლებლები, სკოლაში პოზიციის გასამყარებლად, განათლებას რუსულ ენაზე ხელმეორედ იღებენ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმში. გარდა ამისა, გალში მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი ჩვენთან ინტერვიუში ამბობს, რომ ქალაქ გალის სკოლებში რუსულენოვანი სწავლება შედარებით მარტივად მიმდინარეობს, რადგან ამ სკოლებში უფრო მეტად ის ახალგაზრდა მასწავლებლები არიან, რომლებმაც განათლება სოხუმში მიიღეს და რუსულ ენაზე სწავლება არ უჭირთ, შესაბამისად, სკოლის მოსწავლეებიც უფრო ადაპტირებულნი არიან რუსულ ენასთან.[22] თუმცა გალის რაიონის სოფლებში მასწავლებლებს უჭირთ რუსულ ენაზე სწავლება, გაკვეთილების ახსნის დროსაც, ხშირად იყენებენ მეგრულ და ქართულ ენებს.

რუსულენოვან სწავლებაზე გადასვლა რთული იყო მოსწავლეებისთვისაც, რომლებსაც რუსულ ენასთან შეხება მხოლოდ სკოლაში ჰქონდათ, სახლში კი ძირითადად მეგრულად და ქართულად საუბრობდნენ.[23] ეს პროცესი კიდევ უფრო რთულია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც არ მიუღიათ წინასასკოლო განათლება, რომელიც გალის რაიონში ასევე რუსულენოვანია.

[20] ანონიმური ინტერვიუ გალის მცხოვრებთან, 12 მაისი, 2023.
[21] ინტერვიუ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთან, 19 მაისი. 2023. იხ. ასევე სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2019, 402.
[22] ინტერვიუ გალში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან, 24 ივლისი, 2023.
[23] ანონიმური ინტერვიუ გალის მცხოვრებთან, 12 მაისი, 2023.

განათლების ქართულ ენაზე მისაღებად, ე.წ. გამშვები პუნქტების ფუნქციონირებისას (როდესაც გადაადგილების თავისუფლება ნაკლებად მკაცრად იზღუდებოდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში), გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსწავლეები ხშირად გადმოდიოდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში. მაგალითად, გალის რაიონის სოფელ საბერიოდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყოუშის 9-წლიან, და სოფელ ფახულანის 12-წლიან სკოლაში ყოველდღიურად ათობით მოსწავლე გადადიოდა. მსგავსი ვითარება იყო გალის რაიონის სოფელ ოტობაიადან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში გადასული მოსწავლეების შემთხვევაშიც.[24] 2016 წლიდან, გამშვები პუნქტების დახურვის და ზოგადად გადაადგილების რეჟიმის გამკაცრების შემდეგ, ეს შესაძლებლობები შეიზღუდა.[25]

რაც შეეხება მოსწავლეთა კონტინგენტს, სკოლებში მათი რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ქართულ ენაზე სწავლის აკრძალვის გარდა, რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ყოფას, ინფრასტრუქტურულ პრობლემებს და ზოგად დისკრიმინაციულ პოლიტიკას უკავშირებს.[26] სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, გალის 30 სკოლაში, 2023 წლის იანვრის მდგომარეობით, მოსამზადებლიდან მე-11 კლასის ჩათვლით, 3770 მოსწავლე ირიცხება.[27] წლების მიხედვით მოსწავლეთა სტატისტიკა კი ასე გამოიყურება:



შენიშვნა: სტატისტიკური გრაფა აღებულია სახალხო დამცველის 2022 წლის წლიური საპარლამენტო ანგარიშიდან, გვ. 329

განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა მნიშვნელოვნად გაამწვავა პანდემიის პერიოდმა. 2020 წლის აპრილში გალის რაიონის რესურსცენტრმა ჩაატარა გამოკითხვა,

[24] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები, 2015.
[25]დე ფაქტო რეჟიმმა გალის რაიონის საზღვარზე ორი საფეხმავლო გადასასვლელი (ოტობაია, ხურჩა) დაკეტა, Abkhazia.gov.ge. 3 აპრილი, 2017. ხელმისაწვდომია: https://abkhazia.gov.ge/news/7104/ge
[26] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თეონა ფირანიშვილი, „ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში“, 2022, 36-37.
[27] საქართველოს სახალხო დამცველის წლიური საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, 329.

რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ 3861 სკოლის მოსწავლიდან ინტერნეტსა და კომპიუტერზე წვდომა ჰქონდა მხოლოდ 1648 მოსწავლეს. აქედან მხოლოდ 873 მოსწავლეს ჩაუტარდა დისტანციური გაკვეთილები, რადგან დანარჩენს, ეკონომიკური პრობლემების გამო, არ ჰქონდა ინტერნეტპაკეტის სტაბილურად შეძენის შესაძლებლობა.[28] გალის რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელი იხსენებს შემთხვევებს, როდესაც მოსწავლე გაკვეთილზე ონლაინ დასწრების მიზნით სასაფლაოზე ასულა, რადგან შემაღლებულ ადგილას ინტერნეტი კარგად მუშაობდა. პანდემიის დროს განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა შეექმნათ სტუდენტებსაც, რომლებმაც დაწესებული შეზღუდვების პირობებში დაკარგეს დროებითი სამსახურები, ვერ შეძლეს სწავლის ან საცხოვრებლის საფასურის გადახდა.[29] ამასთანავე, სტუდენტების დიდ ნაწილს, რომელმაც საკმარისი კრედიტები ვერ აიღო, შეუჩერდა დაფინანსება. ამის მიზეზად ისინი ინტერნეტთან და კომპიუტერთან ხელმიუწვდომლობას ასახელებდნენ. 2019 წელს ჩარიცხული 110 სტუდენტიდან, ამავე მიზეზით 47 სტუდენტს შეუჩერდა დაფინანსება.[30] პანდემიის დროს გალში ჩარჩენილი სტუდენტები სწორედ ამ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ ახერხებდნენ ონლაინ ლექცია-სემინარებში მონაწილეობას, რაც მათთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი გახდა.

ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის კიდევ ერთი ბარიერია სკოლამდელი დაწესებულებების სიმცირე გალის რაიონში, სადაც მხოლოდ 9 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. 2023 წლის იანვრის მდგომარეობით, საბავშვო ბაღებში 533 აღსაზრდელი ირიცხება.[31] სწავლება და კომუნიკაცია რუსულ ენაზე ყველა საბავშვო ბაღში სავალდებულოა, რაც თავიდანვე ქმნის იმის პირობას, რომ სკოლაში ბავშვი უფრო მომზადებული მიდის რუსულ ენაზე განათლების მისაღებად.[32] როგორც ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა გალის მცხოვრებმა, ზოგადი განათლების მიღება რუსულ ენაზე იმ ბავშვებისთვის, ვისაც ბაღი აქვს გამოვლილი, უფრო მარტივია. თუმცა წინასასკოლო განათლებაზე ყველას ხელი არ მიუწვდება. მეტიც, გალის რაიონის სოფლების დიდი უმრავლესობა ბაღის გარეშეა დარჩენილი. მაგალითად, ბაღი არ არის გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში, რომელიც ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს მდებარეობს და ესაზღვრება სოფელ ხურჩას. ამ სოფლიდან ხურჩის საბავშვო ბაღში აღსაზრდელები ყოველდღიურად გადმოდიოდნენ. თუმცა 2017 წელს, ხურჩა-ნაბაკევის გადასასვლელი პუნქტის დაკეტვის შემდეგ, ნაბაკეველ ბავშვებს ამის შესაძლებლობა შეეზღუდათ.[33] სოფელ ხურჩის საბავშვო ბაღში 2016 წელს 11 ბავშვი ირიცხებოდა სოფელ ნაბაკევიდან, 2017 წელს - ორი ბავშვი, და მას შემდეგ არცერთი, რადგან ხურჩა-ნაბაკევის გადასასვლელი მთლიანად დაიკეტა. სოფელ ნაბაკევში საბავშვო ბაღი არ არის.[34] ასეთივე სიტუაციაა სოფელ

[28] სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2020, 444.

[29] EMC სტუდენტებისთვის სპეციალურ სოციალურ მხარდაჭერას მოითხოვს, 14 აპრილი, 2020: https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-studentebistvis-spetsialur-sotsialur-mkhardacheras-moitkhovs

[30] სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2021, 333.

[31] იგივე, 329.

[32] ანონიმური ინტერვიუ გალის მცხოვრებთან, 12 მაისი, 2023.

[33] გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების, ხურჩას და ფახულანის მოსახლეობა მძიმე სოციალურ მდგომარეობაშია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 23 აგვისტო, 2022: https://socialjustice.org.ge/ka/products/gamqof-khaztan-mdebare-soflebis-khurchas-da-fakhulanis-mosakhleoba-mdzime-sotsialur-mdgomareobashia

[34] სახალხო დამცველის წლიური საპარლამენტო ანგარიში, 2017, 318.

ორსანტიაში, სადაც გალის რაიონის სოფელ ოტობაიადან ხუთი ბავშვი დადიოდა საბავშვო ბაღში და გადასასვლელის დაკეტვის შემდეგ - არცერთი.[35]

აფხაზეთის ა/რ განათლების და მეცნიერების სამინისტროს გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2 საბავშვო ბაღია ქალაქ გალში. ბაღებია სოფლებშიც: ჭუბურხინჯი, სიდა, ოქუმი, ზემო ბარღები, საბერიო (ორი საბავშვო ბაღი); ასევე, მზიურის საბავშვო ბაღი „შაშიკვარა“.[36] გალის რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელის თქმით, საბავშვო ბაღები არ არის საკმარისი და განსაკუთრებით სოფლებში ყველას არ მიუწვდება ხელი იმაზე, რომ ბავშვებს წინასასკოლო განათლება მისცენ. ადგილობრივ დონეზე კი დამატებითი ბაღების აშენების არც სურვილი და არც შესაძლებლობა არ არის.

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის პირობებში გალელი ახალგაზრდებისთვის რთულია მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებაში, საზაფხულო სკოლებსა და ტრეინინგებში.[37]

2. <u>განათლებაზე ხელმისაწვდომობა ახალგორში</u>

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ახალგორის რაიონში რუსულენოვან სწავლებაზე განათლების სისტემამ 2017 წლიდან დაიწყო გადასვლა. 2017 წელს ახალგორის რაიონის 6 ქართულენოვანი სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა სწავლა რუსულ ენაზე დაიწყეს. ქართული ენა კი, როგორც უცხო ენის საგანი, ისე შენარჩუნდა.[38]

განსაკუთრებით საგანგაშოა ახალგორის სკოლებში მოსწავლეების კონტინგენტის კლების ტენდენცია, რაც ზოგადად რეგიონის მოსახლეობისგან დაცვლის საგანგაშო პრობლემაზეც მიუთითებს. მაგალითად, 2017 წელს ახალგორის შვიდი სკოლიდან (ერთი რუსულენოვანი სკოლაა) მხოლოდ 5-მა მიიღო პირველკლასელები, 2018 წელს კი - მხოლოდ სამმა სკოლამ.[39] იგივე პრობლემა შენარჩუნდა 2019 წელსაც.[40] 2021 წელს ახალგორის ორ სკოლას პირველკლასელი მოსწავლე საერთოდ არ ჰყოლია (სოფელ ბალაანსა და ზემო ბოლში). ახალგორის ქართული სკოლა ყველაზე დიდი სკოლა იყო მთელ რაიონში. ახალგორის ყოფილი გამგებლის თქმით, აქ ომამდე 1000-ზე მეტი ბავშვი სწავლობდა.[41] სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით კი, 2020-2021 სასწავლო წელს აქ 34 მოსწავლე

---

[35] იგივე.

[36] აფხაზეთის ა/რ განათლების და მეცნიერების სამინისტროს გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის 2022 წლის 19 ოქტომბრის წერილი: MES 6 22 0001320894.

[37] სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2017, 319.

[38] საქართველოს სახალხო დამცველის წლიური საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017, 323.

[39] საქართველოს სახალხო დამცველის წლიური საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018, 313.

[40] საქართველოს სახალხო დამცველის წლიური საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019, 404.

[41] ინტერვიუ ახალგორელ მკვლევართან, 20-23 სექტემბერი, 2022.

ირიცხებოდა.[42] გარდა ამისა, როგორც ახალგორელი აქტივისტი ჩვენთან საუბარში განმარტავს, მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების გამო, 5 სკოლიდან ორის დაკეტვაზე უკვე მიდის საუბარი (სოფელ ბოლსა და კორინთაში).[43]

მაშინ როცა ახალგორის 6 ქართულენოვან სკოლაში 2015-2016 წლებში 118 მოსწავლე იყო რეგისტრირებული, 2022-2023 წლებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 53-ია. მოსწავლეთა რაოდენობის შემცირების გამო 2020 წელს დაიკეტა სოფელ ახმაჯის ქართულენოვანი სკოლა და საერთო ჯამში ახალგორში ქართულენოვანი სკოლების რაოდენობა 5-მდე შემცირდა. ამ სკოლებშიც, ქართულ ენაზე სწავლება დღეს დაშვებულია მე-9-11 კლასებში, 2020 წლისგან განსხვავებით, როდესაც ქართულ ენაზე ისწავლებოდა მე-7 კლასიდან. რუსიფიკაციის პოლიტიკის გაგრძელების პირობებში ახალგორის რაიონშიც, გალის რაიონის მსგავსად, ერთ-ორ წელში სრულად შეიზღუდება ქართულ ენაზე სწავლება.

მოსწავლეთა რაოდენობა ახალგორის სკოლებში:

2015-2016	2016-2017	2017-2018	2018-2019	2020-2021	2021-2022	2022-2023
118	105	98	85	63	58	53

შენიშვნა: სტატისტიკური გრაფა აღებულია სახალხო დამცველის 2017-2023 წლიური ანგარიშებიდან.

ბოლო წლებია დე ფაქტო ცხინვალის უშიშროების კომიტეტი ხშირად მიმართავს მასწავლებლების და მოსწავლეების დაშინების პრაქტიკას. ქართულ მოსახლეობაზე ზეწოლისა და დისკრიმინაციის პრაქტიკაზე თითქმის ყოველთვის არის მითითებული სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშებში. მაგალითად, 2020 წლის 3 თებერვალს თანამდებობიდან გაათავისუფლეს ქართული სკოლის დირექტორი, რომელმაც არ გარიცხა ხუთი მოსწავლე განათლების განყოფილების მოთხოვნის შესაბამისად.[44] იკოთის სკოლის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება კი, „პედაგოგიური განათლების უქონლობას“ უკავშირდებოდა.[45] მაღალია ზეწოლა საქართველოში სწავლის გაგრძელების სურვილის შემთხვევაშიც.[46] სახალხო დამცველი 2022 წლის ანგარიშშიც მიუთითებს, რომ ცხინვალის დე ფაქტო უშიშროების კომიტეტი, იმისათვის, რომ ქართულად არ ჩაატარონ გაკვეთილი, განაგრძობს მასწავლებლების და მოსწავლეების დაშინების პრაქტიკას.[47]

---

[42] სახალხო დამცველის ანგარიში, 2021. გვ. 335.

[43] გასაუბრება ახალგორელ აქტივისტთან, 2 აგვისტო, 2023.

[44] ახალგორის ქართული სკოლის ყოფილი დირექტორი საკუთარი უფლებების დასაცავად იბრძვის, „რადიო თავისუფლება“, 8 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/ახალგორის-ქართული-სკოლის-ყოფილი-დირექტორი-საკუთარი-უფლებების-დასაცავად-იბრძვის/30714177.html

[45] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თეონა ფირანიშვილი, „ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში“, 2022, 74.

[46] სახალხო დამცველის განცხადება ოკუპირებულ ახალგორში დე ფაქტო უშიშროების მიერ აბიტურიენტების დაშინების ფაქტებზე, 24 ივნისი, 2020: https://www.ombudsman.ge/geo/190307023143siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-okupirebul-akhalgorshi-de-fakto-ushishroebis-mier-abiturientebis-dashinebis-faktebze

[47] საქართველოს სახალხო დამცველის წლიური საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, 330-331.

სკოლებში სწავლების რუსულ ენაზე გადასვლის შემდეგ, განათლების ხარისხი ახალგორის სკოლებში რადიკალურად გაუარესდა. მასწავლებლების დიდმა ნაწილმა რუსული არ იცის და წლებია არ გაუვლია ატესტაცია.[48]

ახალგორის წინასასკოლო განათლების დაწესებულებებიც მთლიანად რუსულენოვანია. ამ რაიონში სულ ორი საბავშვო ბაღია - ერთი ახალგორის დაბაში და მეორე სოფელ წინაგარაში (ოსური ნაწილი). ომამდე საბავშვო ბაღი იყო სოფელ იკოთშიც, რომელიც, ბავშვების კონტინგენტის არარსებობის გამო, 2008 წელსვე დაიკეტა. ახალგორის დაბაში ორი საბავშვო ბაღი იყო და ბავშვების ნაკლებობის გამო 2018 წელს გაერთიანდა. გაერთიანების დროს კი, მასწავლებლები, რომლებმაც რუსული და ოსური ენები არ იცოდნენ, სამსახურიდან გაათავისუფლეს, რასაც ახალგორში დიდი პროტესტი მოჰყვა.[49] პროტესტი მოჰყვა ბაღში ქართულ ენაზე კომუნიკაციის შეზღუდვასაც.[50]

3. <u>ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი და უმაღლესი განათლების აღიარება</u>

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი და უმაღლესი განათლების აღიარების წესს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის №147 და №1067 ბრძანებები განსაზღვრავს. ზოგადად, განათლების აღიარების პროცესი მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირს ხელი მიუწვდებოდეს უმაღლეს ან ზოგად განათლებაზე საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ასევე შეეძლოს იმ პროგრამებში ჩართვა, რასაც ცენტრალური ხელისუფლება მათ მიზნობრივად სთავაზობს. მაგალითად, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩარიცხვა, ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა, დაფინანსების პროგრამებში მონაწილეობა და სხვ.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაცია. ხოლო უმაღლესი განათლების აღიარებას ახდენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

ზოგადი განათლების აღიარების შესახებ №147 ბრძანების მიხედვით, ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/საფეხურის/სემესტრის აღიარების მიზნით, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

---

[48] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თეონა ფირანიშვილი, „ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში“, 2022, 74.

[49] ახალგორის საბავშვო ბაღებიდან თანამშრომლები ენის უცოდინრობის გამო გაათავისუფლეს, „რადიო თავისუფლება“, 13 ივნისი, 2018. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/ახალგორის-საბავშვო-ბაღებიდან-თანამშრომლები-ენის-უცოდინრობის-გამო-გაათავისუფლეს/29288409.html

[50] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თეონა ფირანიშვილი, „ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში“, 2022, 72.

- წერილობითი განცხადება
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი განათლების კონკრეტული კლასის/საფეხურის/სემესტრის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ინფორმაცია მოწმეთა ვინაობის და საკონტაქტო მონაცემების შესახებ, რომლებიც დაადასტურებენ განმცხადებლის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ზოგადი განათლების მიღების ფაქტს
- იმ დაწესებულებების ჩამონათვალი, სადაც შესაძლოა ინახებოდეს განმცხადებლის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/საფეხურის/სემესტრის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი
- სხვა რაიმე დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ზოგადი განათლების მიღების ფაქტს.

უმაღლესი განათლების აღიარებისთვის, განათლების და მეცნიერების მინისტრის №1067 ბრძანების მიხედვით, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს იმავე სახის დოკუმენტაცია, რაც ზოგადი განათლების შემთხვევაში, იმ განსხვავებით, რომ თუკი პირს არ აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, შეუძლია წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც იძლევა პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას; მინისტრის ბრძანებაში 2017 წელს შეტანილი ეს ცვლილება ემსახურებოდა უმაღლესი განათლების აღიარების პროცესის გამარტივებას.[51] სამშვიდობო ინიციატივის, „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, მიხედვით, მსგავსი ცვლილებებია დაგეგმილი ზოგადი განათლების აღიარების პროცესის გამარტივების მიზნითაც, თუმცა ამგვარი ცვლილებები მინისტრის №147 ბრძანებაში შეტანილი არ არის.

უმაღლესი განათლების აღიარების მიზნით შესაძლებელია ელექტრონული ფორმით მიმართვაც, მათ შორის, აფხაზურ ენაზე. დოკუმენტების გაგზავნა ასევე შეიძლება სტატუს-ნეიტრალური მექანიზმით - საერთაშორისო ორგანიზაციის გავლით.

როგორც ჩვენთან ანონიმურ ინტერვიუებში გალის მცხოვრებლები აღნიშნავდნენ, განათლების აღიარების პროცესი მეტწილად მარტივად, პრობლემების გარეშე მიმდინარეობს. გალის რესურსცენტრის ხელმძღვანელის თქმით, ისინი საბუთებს ელექტრონული ფორმითაც იღებენ, რადგან გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის პირობებში საბუთების ფიზიკურად წარდგენა პრობლემებთანაა დაკავშირებული, თუმცა ელექტრონულად გაგზავნაც პრობლემურია, რადგან ბევრ სკოლაში არ არის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა (პრინტერი, სკანერი, კომპიუტერი). ამიტომ, ხშირად დოკუმენტებისთვის ტელეფონით გადაღებულ სურათებსაც კი იღებენ განცხადების მიღების პროცესში.

[51] „ნაბიჯი უკეთესი მომავალისკენ“ სამშვიდობო ინიციატივა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის, განათლების შესაძლებლობების განვითარება 2018, 4.

გარდა ამისა, ვინაიდან განათლების აღიარების პროცესში საქართველოს პირადობის მოწმობის წარდგენა აუცილებელი კრიტერიუმია, ეს ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემას უქმნის მოსწავლეებს, რომლებმაც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დროულად გადმოსვლა და პირადობის მოწმობის აღება ვერ მოახერხეს. იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეს და მის მშობლებს არ აქვთ გადაადგილებისთვის საჭირო დოკუმენტები, ისინი ვერც პირადობის მოწმობის აღებას ახერხებენ და, შესაბამისად, განათლების აღიარების პროცესიც ფერხდება. ჩვენთან ინტერვიუში გალის მცხოვრები იხსენებს შემთხვევას, როდესაც ბავშვმა ორი წლის წინ დაამთავრა სკოლა, მაგრამ საბუთებთან დაკავშირებული პრობლემის გამო, პირადობის მოწმობის ასაღებად ვერ გადადიოდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, რაც, თავის მხრივ, ზოგადი განათლების აღიარების პროცესისთვის სჭირდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში შემოთავაზებულია სტატუს ნეიტრალური მექანიზმი „პირადი/ინდივიდუალური ნომრის“ მინიჭების სახით, რომელიც კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეობისა და ნეიტრალური დოკუმენტების არმქონე პირებსაც აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე განათლების ნებისმიერ საფეხურზე და ისარგებლონ სხვადასხვა საგანმანათლებლო სერვისითა და გრანტებით. სწორედ ამ ინიციატივიდან გამომდინარე, ბუნდოვანია, ზოგადი განათლების აღიარებისთვის რატომ სჭირდებათ კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, იმის გათვალისწინებით, რომ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გამო ამ დოკუმენტის მოპოვება პრობლემურია. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების აღიარებისთვის პირს შეუძლია წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც მისი პირადობის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, თუმცა ზოგადი განათლების აღიარების პროცესს ეს ცვლილებები პროცესის და ბიუროკრატიის გამარტივებასთან დაკავშირებით არ შეხებია.

განათლების აღიარებასთან დაკავშირებით სტატისტიკა ასე გამოიყურება:
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების აღიარების კომისიამ, წარდგენილი სასკოლო დოკუმენტების განხილვის შედეგად, 2021 წელს 294 მოსწავლის მიერ მიღებული სრული განათლება აღიარა.[52] 2020-2023 წლებში, აღიარებულია 1147 მოსწავლის მიერ მიღებული სრული ზოგადი განათლება, ასევე, 46 საბაზო განათლება და 198 ცალკეული კლასების გავლა.[53]
რაც შეეხება ოკუპირებულ ახალგორში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების საკითხს, წარდგენილი სასკოლო დოკუმენტების განხილვის შედეგად, 2021 წელს 17 მოსწავლის მიერ მიღებული სრული განათლება აღიარეს[54], 2022 წელს კი - 7 მოსწავლის.[55] გალის რეგიონთან შედარებით ეს მონაცემები გაცილებით დაბალია, რაც ახალგორში მოსწავლეთა კონტინგენტის განსაკუთრებულ სიმცირეზე მიუთითებს.

[52] სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2021, 334.
[53] გალის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 22 ივლისი, 2023.
[54] სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2021, 334.
[55] სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2022, 331.

რაც შეეხება გალის რაიონის სკოლების კურსდამთავრებულთა რაოდენობას ბოლო 6 წლის განმავლობაში და სრული ზოგადი განათლების აღიარების მაჩვენებელს, გალის რაიონის

განათლების აღიარება - 2018-2023 წწ.																							
2018 წელი				2019 წელი				2020 წელი				2021 წელი				2022 წელი				2023 წელი			
	აღიარებულია				აღიარებულია				აღიარებულია				აღიარებულია				აღიარებულია				აღიარებულია		
სკოლა დამთავრა	სრული	სამი	ტოლფასი კლასი	სკოლა დამთავრა	სრული	სამი	ტოლფასი კლასი	სკოლა დამთავრა	სრული	სამი	ტოლფასი კლასი	სკოლა დამთავრა	სრული	სამი	ტოლფასი კლასი	სკოლა დამთავრა	სრული	სამი	ტოლფასი კლასი	სკოლა დამთავრა	სრული	სამი	ტოლფასი კლასი
372	311	34	99	410	359	15	95	348	305	5	31	322	294	10	72	320	282	24	62	320	266	7	33

რესურსცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკიდან ირკვევა, რომ საშუალოდ კურსდამთავრებულთა 80-85%-ის სრული ზოგადი განათლების აღიარება ხდება.[56]

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საკითხთან დაკავშირებით ცენტრს 2016 წლიდან დღემდე არ მიუღია არცერთი უარყოფითი გადაწყვეტილება, ხოლო 4 განცხადებასთან დაკავშირებით

შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება. რაც შეეხება დადებითი გადაწყვეტილებების სტატისტიკას, 2016 წლიდან 2022 წლამდე ასე გამოიყურება:

წელი	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
გადაწყვეტილება	6	13	15	17	5	1	1

შენიშვნა: მონაცემები აღებულია გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის მიერ 2023 წლის 31 ივლისს მოწოდებული ინფორმაციიდან

4. <u>საქართველოს ხელისუფლების მიერ შეთავაზებული პროგრამები, რესურსები და პოლიტიკა</u>

კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულ საკითხად არის აღიარებული, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ხელისუფლების მიერ ინიცირებული „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ორი სამშვიდობო ინიციატივიდან ერთი

[56] გალის რაიონის რესურსცენტრის მიერ 2023 წლის 31 ივლისს მოწოდებული ინფორმაცია.

სწორედ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის განათლების შესაძლებლობების განვითარებას ეხება.[57] ეს სამშვიდობო ინიციატივა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2018 წელს წარადგინა, თუმცა შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს ინიციატივის შესრულების წერილობითი/ოფიციალური ანგარიში ამ დრომდე არ გამოუქვეყნებია.

განათლების მიმართულებით სამშვიდობო ინიციატივა შემდეგ პრიორიტეტებს გამოყოფს:

- მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფა
- აფხაზური ენის დაცვა და განვითარება
- განათლების სისტემაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარება და გამარტივება
- საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისა და სწავლის გაგრძელების გამარტივება, ხარისხიან განათლებაზე წვდომა
- საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის და საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შექმნა/გამარტივება
- პროფესიული განათლების მიღების და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა
- სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა.

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველსაყოფად ხელისუფლება ორ მთავარ მიმართულებას განსაზღვრავს: პირველ რიგში, საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში განათლების სისტემის რუსიფიკაციის პროცესის შეჩერება და საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება, და, მეორე მხრივ, პროექტების და აქტივობების განხორციელება ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე განათლების უფლების დასაცავად. თუმცა კონკრეტული ნაბიჯები, გარდა იმისა, რომ გალსა და ახალგორში ამ უფლების განსახორციელებლად უნდა გაძლიერდეს დიპლომატიური, პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმები, არ არის აღნიშნული.

ამავე მიზნით სამშვიდობო ინიციატივაში შემოთავაზებულია საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება მშობლიურ ენაზე განათლების უფლების შესაძლებლობების გასაფართოებლად, ასევე ნახსენებია, რომ ხელისუფლება გეგმავს ძალისხმევა გაწიოს აფხაზეთში განათლების საერთო სტანდარტის ასამაღლებლად და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობების გასაფართოებლად ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის იმ მოსწავლეებისთვისაც, ვისთვისაც აფხაზურია მშობლიური ენა. თუმცა აქვე სამშვიდობო ინიციატივაში დაკონკრეტებულია, რომ გალის რაიონის მსგავსი შეზღუდვები მშობიულ ენაზე განათლების მიღების თვალსაზრისით არ მოქმედებს აფხაზურ, რუსულ და სომხურ ენოვან სკოლებში. სამშვიდობო ინიციატივა არ აკონკრეტებს რას გულისხმობს (რა ნაბიჯებს და პროგრამებს) როცა აფხაზურენოვან სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების სტანდარტის ამაღლებას და, ამ მხრივ, შესაძლებლობების გაფართოებას ისახავს მიზნად.

[57] „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, სამშვიდობო ინიციატივა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის განათლების შესაძლებლობების განვითარება https://smr.gov.ge/uploads/prev/__a2beda36.pdf

სამშვიდობო ინიციატივაში სხვადასხვა მექანიზმია შემოთავაზებული საიმისოდ, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს მარტივად შეეძლოთ სწავლის გაგრძელება საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამ ინიციატივაში ასახულია ასევე კონფლიქტის ამ ორ რეგიონში მცხოვრები ქართულენოვანი მოსახლეობის საგანმანათლებლო საჭიროებები, როგორიც არის: სკოლისშემდგომი განათლებისთვის მომზადების ცენტრი, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, და სტუდენტური საცხოვრებელი. თუმცა ეს პროგრამები და მათი შესრულების ხარისხი, სრულად ვერ პასუხობს გალის და ახალგორის ქართულენოვანი მოსახლეობის საჭიროებებს და გამოწვევებს, რაც ქვემოთ არის გაანალიზებული.

მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი პროგრამა, რითაც გალის და ახალგორის მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს, არის „სკოლისშემდგომი განათლებისთვის მომზადების პროგრამა“. მოსამზადებელი პროგრამა/ცენტრი მე-12 კლასის ჩამნაცვლებელი საფეხურია, რომელიც მოსწავლეებს მოამზადებს და აღჭურავს სათანადო უნარ-ჩვევებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გასაგრძელებლად. ამ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მომზადება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ასევე აფხაზურ და ოსურ ენაში, ეროვნული გამოცდებისთვის საჭირო სხვა არჩევით საგნებში, კომპიუტერულ პროგრამებში. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ათვისების დადასტურების მიზნით მონაწილეებს უტარდებათ გამოცდა. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში შესაბამის პირებს მიენიჭებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება. პროგრამა ხელმისაწვდომია როგორც გალში, ისე ახალგორში მცხოვრები აბიტურიენტებისთვის. სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა გაიარა და სწავლის უფლება მიენიჭა 138 პირს (აქედან 136 პირი იყო აფხაზეთიდან და 2 ცხინვალის რეგიონიდან).[58] ეს პროგრამა 2019 წელსვე დასრულდა, რადგან 2020 წლიდან „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, უგამოცდოდ ირიცხებიან და ფინანსდებიან სახელმწიფო სასწავლო გრანტით. შესაბამისად, სკოლის შემდგომი მომზადების პროგრამა ამ ადამიანებისთვის უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩაბარების მიზნით აღარ არის საჭირო, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამის დაფინანსება გრძელდება.[59]

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უმაღლესი განათლების მისაღებად უგამოცდოდ ჩარიცხვის და სახელმწიფო დაფინანსების შესაძლებლობა მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯი იყო გალის და ახალგორის ახალგაზრდობისთვის, რომელთაც პანდემიის პერიოდში კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის შესაძლებლობა არ

[58] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, 8 სექტემბერი, 2022, MES 0 22 0001024563.

[59] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, 31 მაისი, 2023, MES 0 23 0000620787. ინტერვიუ გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელთან, 14 ივლისი, 2023.

ჰქონდათ. უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2019 წელს შესული ცვლილებების მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირს, რომელიც ბოლო ორი წელი სწავლობდა და სრული ზოგადი განათლება მიიღო ოკუპირებულ ტერიტორიაზე და რომლის ზოგად განათლებას აღიარებს საქართველოს განათლების სამინისტრო, შესაძლებლობა მიეცემა უგამოცდოდ ჩაირიცხოს უმაღლეს სასწავლებელში. უგამოცდოდ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შესაძლებლობის გაჩენამ რადიკალურად შეცვალა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უმაღლესი განათლების მსურველთა და ჩარიცხულთა რიცხვი. თუკი 2019 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გაუვლელად სწავლისა და დაფინანსების უფლება მიენიჭა 114 პირს, 2020 წელს ეს მაჩვენებელი 421-მდე ავიდა. 2021 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გაუვლელად სწავლის უფლება მიენიჭა 276 პირს, ხოლო 2022 წელს - 231 პირს.[60] ჩარიცხული სტუდენტების ზრდის ტენდენციაზე მიუთითებს კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემი: 2015-2019 წლებში 23 ახალგაზრდა ჩაირიცხა ახალგორიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში,[61] თუმცა მათი რიცხვი მომდევნო 2 წელიწადში მკვეთრად გაიზარდა. 2016-2021 წლებში ჯამურად, ახალგორიდან 312 სტუდენტი ჩაირიცხა.

უგამოცდოდ ჩარიცხვის შესაძლებლობა, ერთი მხრივ, მიზნად ისახავდა იმ ბარიერების მოხსნას, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს ჰქონდათ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის პირობებში, განსაკუთრებით პანდემიის დროს. თუმცა დღეს უკვე ბევრი აღნიშნავს, რომ უგამოცდოდ ჩარიცხვის შესაძლებლობის პირობებში ბევრი მოსწავლე თავს ანებებს ან საერთოდ არ გადის მოსამზადებელ პროგრამებს, არ აგრძელებს მეცადინეობას რეპეტიტორებთან, რადგან ამის მოტივაცია დაკარგული აქვთ.[62] მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ განაგრძობენ აბიტურიენტები მომზადებას. ამის გამო, მათთვის უფრო რთულია დაძლიონ საბაკალავრო ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, ამიტომაც, ბევრი სტუდენტი ვერ ახერხებს საკმარისი საგნობრივი კრედიტების დაგროვებას და, შესაბამისად, ვერ ამთავრებს უნივერსიტეტს.[63] ამ მხრივ საინტერესოა განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკა კურსდამთავრებულების შესახებ:

2016-2021 წლებში აფხაზეთიდან 9284 სტუდენტი ჩაირიცხა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში, რომელთაგან 1889 იყო გალიდან. ამავე პერიოდში კურსდამთავრებულების რაოდენობა ასე გამოიყურება: 2354 კურსდამთავრებული აფხაზეთიდან და 701 - გალიდან.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, 2016-2021 წლებში ამ რეგიონიდან ჩაირიცხა 1018 სტუდენტი, ხოლო კონკრეტულად ახალგორიდან - 312. სამხრეთ ოსეთიდან ჩარიცხულმა მხოლოდ 323

[60] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, 31 მაისი, 2023, MES 0 23 0000620787.

[61] მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობა გალსა და ახალგორის რაიონებში, DRI, 2020, გვ. 8.

[62] ინტერვიუ გალის რაიონის რესურს ცენტრის ხელმძღვანელთან, 14 ივლისი, 2023. ანონიმური ინტერვიუ გალის რაიონის მცხოვრებთან, 12 მაისი, 2023.

[63] ანონიმური ინტერვიუ გალის მცხოვრებთან, 12 მაისი, 2023.

სტუდენტმა შეძლო ამ პერიოდში უნივერსიტეტის დამთავრება, ხოლო ახალგორიდან ჩარიცხულმა 69 სტუდენტმა დაამთავრა უნივერსიტეტი.[64]

კურსდამთავრებულების დაბალ მაჩვენებელს განათლების სამინისტრო პროგრამის ხანგრძლივობით (პირველი საფეხურის პროგრამები ბაკალავრიატი - ერთსაფეხურიანი სამედიცინო, ინტეგრირებული საბაკალავრო პროგრამები, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), და სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტით ხსნის.[65] თუმცა სტატისტიკურ მონაცემებში არ არის ნაჩვენები კონკრეტულად რომელი საფუძვლით, რამდენმა სტუდენტმა არ/ვერ დაამთავრა უნივერსიტეტი ამ პერიოდში.

გარდა ამისა, გალის და ახალგორის მოსახლეობისთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობისთვის დამატებით შემდეგი ღონისძიებები ხორციელდება:

განათლების სამინისტრომ შეიმუშავა „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადების და აბიტურიენტებისათვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებშიც პედაგოგები მშობლიურ ენაზე ამზადებენ მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს.[66] გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლება გალის რაიონში აფინანსებს მასწავლებლებს, რომლებიც სხვადასხვა საგანში ამეცადინებენ მოსწავლეებს ქართულ ენაზე, რაც მათ საქართველოში სწავლის გასაგრძელებლად სჭირდებათ. ე.წ. რეპეტიტორების დახმარებით გალელი მოსწავლეები ახერხებენ მოემზადონ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, გეოგრაფიასა და სხვა არჩევით საგნებში.

2021 წელს ონლაინ რეჟიმში ტრეინინგები ჩაუტარდა ოკუპირებული გალის რაიონის 46 მასწავლებელს, რომელთაც ეროვნული გამოცდებისათვის მოამზადეს 420 აბიტურიენტი.[67] გარდა რეპეტიტორების მხარდაჭერისა, ცენტრალური ბიუჯეტიდან 4 მილიონ ლარზე მეტი გამოყოფილია გალის რაიონის სკოლების მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალზე, მათი ყოველკვარტალური ხელფასებისთვის.[68]

ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება ახალგორის 6 სკოლის პედაგოგების და ტექნიკური პერსონალის ყოველკვარტალური ხელფასებიც, რომელთა შესახებაც განათლების სამინისტროს ყოველწლიურად განახლებული სია მისდის. სახალხო დამცველის წარმომადგენლის ინფორმაციით, 2022 წელს 108 პედაგოგმა და 56-მა ტექნიკურმა პერსონალმა მიიღო ცენტრალური ბიუჯეტიდან მხარდაჭერა. ახალგორის სკოლის მასწავლებლებისთვის ასევე ვრცელდება ის ტრეინინგები და გადამზადების

[64] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, 31 მაისი, 2023, MES 0 23 0000620787.

[65] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, 8 სექტემბერი, 2022, MES 0 22 0001024563.

[66] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, 8 სექტემბერი, 2022, MES 0 22 0001024563.

[67] სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2021, 336.

[68] აფხაზეთის ა/რ განათლების და მეცნიერების სამინისტროს გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2022 წლის 19 ოქტომბრის წერილი: MES 6 22 0001320894.

პროგრამები, რასაც გალელი მასწავლებლები გადიან, თუმცა 2019 წლიდან გადაადგილების თავისუფლების მკაცრი შეზღუდვების პირობებში მათ ამის შესაძლებლობა აღარ მისცემიათ.[69]

როგორც გალის რესურსცენტრის ხელმძღვანელი განმარტავს, ცენტრალური ხელისუფლება ბოლო წლებია (განსაკუთრებით პანდემიის შემდეგ), ნერგავს ონლაინ გადამზადების პროგრამებს, მათ შორის მშობლიური ენის სწავლის ხელშესაწყობად, თუმცა შესაბამის ტექნიკასა და ინტერნეტის რესურსებზე მწირი ხელმისაწვდომობის პირობებში, ამ პროგრამებში მონაწილეობა გალელი მოსახლეობისთვის პრობლემურია.[70]

2021 წლიდან პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებითაც ამოქმედდა საშეღავათო რეჟიმი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებს შეუძლიათ უგამოცდოდ ჩაირიცხონ ამ პროგრამებში, თუმცა უგამოცდოდ ჩარიცხვის შესაძლებლობის გაჩენის მიუხედავად, ამ პროგრამით დაინტერესება არ გაზრდილა. თუკი გალიდან და ახალგორიდან 2020 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 182 პირი ჩაირიცხა, 2021 წელს ეს მაჩვენებელი 73-მდე და 2022 წელს 77-მდე შემცირდა.[71]

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში განათლების ხელმისაწვდომობას ბარიერს უქმნის საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემები, რაც პანდემიის დროს განსაკუთრებით მწვავედ წარმოჩნდა. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტებს, სწავლის პარალელურად უწევთ დროებითი სამუშაო მოიძიონ, რათა ბინის და სხვა საყოფაცხოვრებო ხარჯები გადაიხადონ. ერთ-ერთი გალელის თქმით, რომელიც ანონიმურად გვესაუბრა, ახალგაზრდებს უწევთ მოლარე ოპერატორებად და კონსულტანტებად, ანდა კვების ობიექტებზე მუშაობა იმისათვის, რათა ბინის ქირა გადაიხადონ. ოჯახებს არ აქვთ იმის რესურსი, რომ სტუდენტების სხვა ქალაქში ცხოვრების ხარჯებს სრულად გაართვან თავი, სახელმწიფო კი, მართალია, სხვადასხვა სოციალური დაცვის პროგრამით ეხმარება სტუდენტებს, მაგრამ ეს მხარდაჭერა ფრაგმენტული და არასაკმარისია.[72] „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ინიციატივის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სტუდენტური საცხოვრისების მშენებლობა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორსა და ახალციხეში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე (ბაგებში და ლისზე) მოქმედი სტუდენტური საცხოვრებელი ჯამურად 580 სტუდენტზეა გათვლილი. ბაგების სტუდენტური საცხოვრებელი, რომელიც 260 სტუდენტზეა გათვლილი და 1970 წელს აშენდა, გამაგრება-რეაბილიტაციას აღარ ექვემდებარება.[73] საცხოვრებლის მისაღებად ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ სტუდენტებს პრიორიტეტი ენიჭებათ,[74] თუმცა საცხოვრებლების რაოდენობა იმდენად შეზღუდულია და ზოგიერთ შემთხვევაში

[69] ინტერვიუ სახალხო დამცველის წარმომადგენელთან, 19 მაისი, 2023.
[70] ინტერვიუ გალის რაიონის რესურს ცენტრის ხელმძღვანელთან, 14 ივლისი, 2023.
[71] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, 31 მაისი, 2023, MES 0 23 0000620787
[72] ანონიმური ინტერვიუ გალის მაცხოვრებელთან. 12 მაისი, 2023.
[73] რა პირობებში და რა ფასად შეუძლიათ ცხოვრება სტუდენტებს საერთო საცხოვრებლებში? https://bm.ge/ka/article/ra-pirobebshi-da-ra-fasad-sheudzliat-cxovreba-studentebs-saerto-sacxovreblebshi/116702
[74] https://tsu.ge/ka/domitory/page/ლისის-საერთო-საცხოვრებელი

შეუსაბამოც საცხოვრებელ პირობებთან, რომ სტუდენტებს ძირითადად მაინც საკუთარი რესურსებით უწევთ ბინის ქირაობა. ამასთანავე, სხვა ქალაქებში სტუდენტური საცხოვრებელი არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მიზნად ისახავდა სტუდენტური საცხოვრებლის და განთავსების პრობლემის მოგვარებას, ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია.[75]

შეჯამება

კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა ხელისუფლების მიერ გაცხადებული ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ამ მიმართულებით ცენტრალურ ხელისუფლებას რამდენიმე პროგრამა და საშეღავათო რეჟიმი აქვს ამოქმედებული. თუმცა ამ პროგრამების ფრაგმენტულობა, ერთიან კონტექსტში და გამოწვევების ფონზე ანალიზის სიმწირე, და დაგეგმილი/შეთავაზებული ინიციატივების ნაწილობრივი განხორციელება საბოლოოდ მაინც არ უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას.

სტატიაში წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ გალის და ახალგორის მოსახლეობისთვის მშობლიურ ენაზე ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევებთან არის დაკავშირებული: ერთი მხრივ, ხელისუფლება, წლებია, ვერაფერს უპირისპირებს ადგილზე მშობლიური ენის სრულ შეზღუდვას და განათლების სისტემის რუსიფიკაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით გავლენის შესაძლებლობა საოკუპაციო რეჟიმში ხელისუფლებას ნაკლებად აქვს, წლების მანძილზე ამ საკითხის საერთაშორისო ადვოკატირებას შედეგი არ გამოუღია, რაც ადვოკატირების მექანიზმების, მიდგომების და პოლიტიკის ცვლილების საჭიროებაზე მიუთითებს, მათ შორის დე-ფაქტო ხელისუფლების ორგანოებთან პირდაპირი კომუნიკაციის გზით. ფაქტია, რომ რუსიფიკაციის პროცესი გავლენას ახდენს მშობლიური ენის ცოდნაზე და გრძელვადიან პერსპექტივაში აჩენს რისკებს, რომ ამ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა დანარჩენ საქართველოთან დაკარგავს კავშირებსდროთა განმავლობაში რუსულ ენასთან ადაპტაციის პროცესი სხვა არაერთ ნეგატიურ შედეგებსაც გამოავლენს. გალის და ახალგორის მოსახლეობა ვერ შეძლებს უმაღლესი განათლების მშობლიურ ენაზე მიღებას საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, რაც შემდგომში შეიძლება აქ განათლების მიღების ინტერესზეც აისახოს. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე განათლების მიღების და შემდგომში აქ დასაქმების შესაძლებლობა გალის და ახალგორის მოსახლეობისთვის დანარჩენ საქართველოსთან კავშირების შენარჩუნების მთავარი რესურსია.

გარდა ამისა, ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები ორივე რაიონში მოსახლეობის აშკარა კლებაზე მიუთითებს, რაც არაერთი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორის გარდა, სწორედ განათლების სისტემის რუსიფიკაციასა და მის გაუარესებას უკავშირდება.

---

[75] ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ, სამშვიდობო ინიციატივა, ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე, გვ 13, ხელმისაწვდომია: https://smr.gov.ge/uploads/prev/__a2beda36.pdf

მეორე მხრივ, ხელისუფლების მიერ შეთავაზებული პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს როგორც ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, ისე მშობლიური ენის ცოდნის შენარჩუნებას, ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის პრაქტიკულ დონეზე და საბოლოო ჯამში არ ემსახურება დასახულ მიზანს. მაგალითად, პანდემიის პირობებში წამოწყებული ინიციატივა უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩარიცხვასთან დაკავშირებით, ხელისუფლების მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდებს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა არ შეეძლოთ გამოცდების ჩასაბარებლად. თუმცა ეს ინიციატივა არ გადასინჯულა, არ შეფასებულა, რამდენად პოზიტიურად აისახება იგი ხარისხიან განათლებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ საშეღავათო რეჟიმის ამუშავების შედეგად პროგრამებმა, რომლებიც მიზნად ისახავდა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელშეწყობას, აბიტურიენტების და პედაგოგების გადამზადებას, სკოლის შემდგომი განათლების გაუმჯობესებას, თავისი პოზიტიური გავლენის არეალი შეამცირა, რადგან აქ ჩართული მოსწავლეების რიცხვმა და მათმა მოტივაციამაც იკლო. ამიტომ, კრიტიკულია ხელისუფლებამ შეაფასოს უგამოცდოდ ჩარიცხული სტუდენტების აკადემიური მოსწრების და წარმატების მაჩვენებლები და შეადაროს გამოცდებით მიღებული სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას, ასევე, შეაფასოს აბიტურიენტების/პედაგოგების/სტუდენტების ჩართულობის ხარისხი იმ პროგრამებში, რომლებიც მშობლიური ენის გაძლიერებას და მშობლიურ ენაზე სხვადასხვა საგნის შესწავლას ემსახურება.

ამასთანავე, გალის და ახალგორის სტუდენტების/მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის ონლაინ პროგრამების შეთავაზების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ გადადგას შესაბამისი პოზიტიური ნაბიჯები აქ არსებული ტექნიკური პრობლემების აღმოსაფხვრელადაც, რაც ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობით არის გამოხატული.

კონტროლირებად ტერიტორიაზე განათლების მიღების კიდევ ერთი ბარიერია სოციალური მოწყვლადობა და საცხოვრისზე გაძნელებული წვდომა. მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში იგეგმებოდა ამ პრობლემის გადაწყვეტა, ეს საკითხი კვლავ მძიმე ტვირთად აწევთ გალელ და ახალგორელ ახალგაზრდებს, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. უნდა აღინიშნოს, რომ გალელი ახალგაზრდებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მიუწვდებოდეთ ხელი ამ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლაზე, რადგან აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარების შემთხვევაში მათთვის დიპლომის აღების საკითხი გარანტირებული არ არის. როგორც ჩვენთან საუბარში განმარტა ოჩამჩირის მკვიდრმა, დე ფაქტო ორგანოების ოფიციალური პოზიციით, გალის მოსახლეებს დიპლომის აღება შეუძლიათ აფხაზური პასპორტის არქონის შემთხვევაშიც, ბინადრობის მოწმობის საფუძველზე, თუმცა პრაქტიკაში ასე არ არის და ისინი ხშირად მაინც აწყდებიან ბარიერებს.[76]

[76] ინტერვიუ ოჩამჩირის მცხოვრებთან, 24 ივლისი, 2023.

კიდევ ერთი ინიციატივა, რაც სამშვიდობო ინიციატივაში, „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, იყო ასახული და დღემდე არ შესრულებულა, ეხება ზოგადი განათლების აღიარების ბრძანებაში ცვლილებების შეტანას, უმაღლესი განათლების აღიარების შესახებ ბრძანების მსგავსად, რომელიც მიზნად ისახავს აღიარების პროცედურების გამარტივებას და ბიუროკრატიული ტვირთის შემსუბუქებას. ეს ცვლილებები გულისხმობს განაცხადების ელექტრონული ფორმით მიღების შესაძლებლობას (პრაქტიკაში ეს მეტ-ნაკლებად დაწყებულია, თუმცა ბრძანებაში არ არის ასახული) და აღიარების პროცედურის გავლას საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოსვლის და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის აუღებლად.[77]

ამ გამოწვევების ფონზე, გალის და ახალგორის მოსახლეობის განსაკუთრებული სოციალური და პოლიტიკური მოწყვლადობიდან გამომდინარე, კრიტიკულია ხელისუფლებამ გააქტიუროს პოზიტიური ზომები იმისათვის, რათა ამ რაიონებში შემორჩენილ ქართველ მოსახლეობას ჰქონდეს დანარჩენ საქართველოში განათლების მიღების ინტერესი, მოტივაცია და შესაძლებლობა (როგორც ინტელექტუალური, ისე პრაქტიკული/ფინანსური). ხელმისაწვდომობა განათლებაზე ის სფეროა, სადაც საერთო ინტერესების გამონახვა კონფლიქტის მეორე მხარესთან ყოველთვის შეიძლება შესაბამისი საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ გააანალიზოს ეს ორმხრივი საჭიროებები და სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ სწორედ ამ პრაქტიკულ პერსპექტივებს მოარგოს.

უფრო კონკრეტულად კი, გაანალიზებული საჭიროებებიდან გამომდინარე, აუცილებელია შემდეგი ზომების მიღება:

- **საერთაშორისო პოლიტიკური, დიპლომატიური და სამართლებრივი პლატფორმებისა და მექანიზმების ქმედითი და აქტიური გამოყენება ოკუპირებულ ტერიტორიებზე განათლებისა და ლინგვისტური უფლებების დარღვევისა და დისკრიმინაციის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად;**
- **აფხაზურ და ოსურ დე-ფაქტო მხარეებთან დიალოგის სხვადასხვა პლატფორმაზე განათლებისა და ლინგვისტური უფლებების დარღვევის საკითხების უფრო აქტიურად დაყენება და დამკვიდრებული დისკრიმინაციული პრაქტიკების აღმოფხვრის ხელშეწყობა**
- **გალის და ახალგორის რეგიონების მოსახლეობისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად გრძელვადიანი ხედვის და სამოქმედო გეგმის შემუშავება;**
- **ქართული ენის და ქართულ ენაზე სხვადასხვა ზოგადი განათლების საგნების სწავლების არაფორმალური პლატფორმების და პროგრამების შექმნა (მაგალითად საზაფხულო/ზამთრის სკოლები, ბანაკები, ონლაინ პროგრამები, ა.შ.), რომელსაც ექნება რეგულარული და მდგრადი ხასიათი და რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სტაბილური ყოველწლიური ბიუჯეტით და მორგებული იქნება**

[77] „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ სამშვიდობო ინიციატივა, გვ. 15.

ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებთან (მათ შორის ტექნიკური თვალსაზრისით).

- გალის/ახალგორის სკოლების ადმინისტრაციის აღჭურვა შესაბამისი ტექნიკით (პრინტერი, სკანერი, კომპიუტერი და სხვ.)
- გალის/ახალგორის დე ფაქტო რეჟიმებთან თანამშრომლობით რეგიონების ინტერნეტიზაციის ხელშეწყობა, რითაც გარდა ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებისა, შეიქმნება ორმხრივი თანამშრომლობის კარგი გამოცდილება
- ქართული ენის სწავლების თვალსაზრისით, სტუდენტების ხელშეწყობა დამატებითი პროგრამების გაჩენის გზით, ასევე საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვა ძირითადი სახელმწიფო უნივერსიტეტების ბაზაზე; გალელი და ახალგორელი სტუდენტებისთვის სოციალური მხარდაჭერის სპეციალური რეგულარული პროგრამის დანერგვა, მათ შორის საცხოვრებლით უზრუნველყოფის გზით
- ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების პროცესში ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნა და პროცესის გამარტივება.